ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული/- #6 (16) 2026
https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.22

გვიან ბიზანტიური სამეცნიერო მიღწევები და სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის მოხატულობის ფრაგმენტი

ლალი ოსეფაშვილი

საკვანძო სიტყვები: ქართული ხელოვნება, შუა საუკუნეების ხელოვნება, სვეტიცხოველი, ზოდიაქოს ნიშნები, ასტრალური იკონოგრაფია.

ნაშრომში შესწავლილია სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზე წარმოდგენილი მოხატულობა: ქრისტე პანტოკრატორი და მის ირგვლივ 12 ზოდიაქოს ნიშანი, რომელიც ფსალმუნიდან მომდინარე ფართო კომპოზიციის შემადგენელ ნაწილადაა გააზრებული. დღეისათვის ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში შემორჩენილი ზოდიაქოს ნიშნების ეს ერთადერთი ნიმუში, განხილულია ქრისტიანული აღმოსავლეთის (მაკედონიის, რუმინეთის, საბერძნეთის და ასე შემდეგ) ასტრალური გამოსახულებების იკონოგრაფიის ნიმუშების მოხმობით, პოსტბიზანტიურ ხანის ხელოვნების კონტექსტში და ნაჩვენებია სვეტიცხოვლის კედლის მხატვრობაში ზოდიაქოს წრის გამოსახვის მხატვრული თავისებურებები. ნაჩვენებია, რომ სვეტიცხოვლის კომპოზიცია არ წარმოადგენს იზოლირებულ მოვლენას, არამედ ასახავს ქრისტეს, როგორც კოსმოკრატორის, სახის იკონოგრაფიულ განვითარებას, რომელიც დაკავშირებულია ბიზანტიურ ასტრონომიულ და კოსმოლოგიურ წარმოდგენებთან.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარმა, თითქმის, ქვეყნის ისტორიის შესაბამისი ეტაპები გაიარა და მისი დღევანდელი იერი ზუსტად ასახავს ქვეყნისა და ტაძრის წარსულს. მის სამხრეთ კედელზე დღეისათვის შემორჩენილია უზარმაზარი, მასშტაბური კომპოზიცია, რომელსაც მეცნიერბმა 148-150-ე ფსალმუნთა ილუსტრაცია, ანუ „ყოველი სული აქებდით უფალსა“. ამ კედლის მოხატულობის ცენტრშია ფართო წრე, მედალიონი, სადაც აღსაყდრებული უფალია, მარცხენა ხელში გაშლილი გრაგნილით, ტექსტი შეიცავს შემდეგ ბერძნულ ენოვან წარწერას: „იხილეთ, იხილეთ, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი“.[1] თავის მხრივ სადაფისფერი წრიული მედალიონი ბერძნული წარწერის შემცველია, ხოლო ქრისტეს ფიგურას ეკვრის მოყვითალო რომბული მოჩარჩოება, მის ოთხივე ფერდზე ოთხი აპოკალიფსური არსებაა: ანგელოზი, ლომი, ხარი და არწივი. ამ მედალიონს შემოუყვება ასევე ფართო ლურჯფონიანი წრე, რომელშიც ჩართულია ათი ანგელოზისა და სერაფიმ-ქერუბიმთა გამოსახულებანი. ასევე სადაფისფერი ფართო წრეა, რომლის შიგნით აღბეჭდილია მზის, მთვარის, ვარსკვლავთა და თორმეტი ზოდიაქოს აღმნიშვნელი სიმბოლო, ხოლო ამ რკალს რუხი ფერის გრეხილი მოტივი შემოწერს, კედლის დანარჩენ ნაწილებში, როგორც აღვნიშნე, ფსალმუნთა სტროფებია დასურათებული.

მოხატულობა პოსტბიზანტიური ხანითაა დათარიღებული. მის შესახებ, აღწერითი ხასიათის ნაშრომის გარდა, საგანგებო კვლევა ჯერ არ გამოქვეყნებულა. თუმცა, ინტერესი მისადმი ყოველთვის დიდი იყო და არაერთგვაროვანი აზრებია

1 ეს სიტყვები ბიბლიიდანაა აღებული, როგორც ამას მეცნიერი თინათინ ყაუხჩიშვილი მიუთითებს (მეორე სჯ. 32, 39) ყაუხჩიშვილი, საქართველოს, 2009, გვ. 218.

გამოთქმული. წინამდებარე ნაშრომის მიზანია სვეტიცხოვლის სამხრეთი კედლის კომპოზიციის შესწავლა, იმ სამეცნიერო მიღწევებისა და ცოდნის გათვალისწინებით, რაც, ასე ვთქვათ, დაგროვდა პოსტბიზანტიურ პერიოდში. იგი, თითქოს, დღემდე ეულად გამოიყურებოდა და რადგან პარალელი არ იძებნებოდა, მისი შესწავლის საკითხი რთულად იდგა სამეცნიერო ლიტერატურაში. ახლა შეიცვალა ვითარება, ფართოდ გავრცელდა პარალელური მასალა და ასევე მკვლევართ მიეცათ მათი გააზრებისა და შეჯერების საშუალება. ესენია: მათგან უადრესი ლესნოვოში (ჩრდილოეთ მაკედონია, XIV საუკუნე), ხოლო გვიანია პრობოტაში (რუმინეთი, XVI საუკუნე), საბერძნეთში დეკულუს მონასტერში მანის ნახევარკუნძულზე (XVII საუკუნე), ასევე მანის ნახევარკუნძულზე სოფ. კასტანიას წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში (XVII საუკუნე) და სვეტიცხოველში (XVII საუკუნე).[2] ამ ნიმუშებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ამ პერიოდშიც, ისევე, როგორც შუა საუკუნეების ეპოქის წინა ეტაპებზე სხვადასხვა ქვეყნაში მცხოვრები ადამიანები ინტელექტუალურად, სულიერად ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი. დღესდღეობით, საკმაოდ ვრცლად იწერება ზოდიაქოთა სისტემებზე, რომლებიც ფართოდ გავრცელდა, როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე ბიზანტიაში, ანუ ქრისტიანულ სამყაროში, თუმცა, ქართულ მასალაზე,[3] შედარებით ნაკლებად. წინამდებარე ნაშრომი ერთგვარი ცდაა, რომ წარმოვადგინო საკმაოდ რთული თემატიკა, რომელიც უდავოდ მომგებლის, ანუ დამკვეთის ფართო თეოლოგიური ერუდიციის მაჩვენებელია. ζώδια, ბერძნული სიტყვაა - ზოდია. ბიზანტიელები არ აშორებდნენ ერთმანეთს ვარსკვლავებით მოჭედილი ცის აღქმის ორ გზას - ასტრონომიასა და ასტროლოგიას - მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ისინი უპირატესობას ანიჭებდნენ ერთს ან მეორეს.

როგორც მეცნიერი დორუ კოსტაკე შენიშნავს, „გვიან ბიზანტიურ ხანაში და მის შემდეგ აგებულ ეკლესიებში ბალკანეთიდან კავკასიამდე და თანამედროვე რუმინეთამდე, გამოვლენილია უჩვეულო იკონოგრაფიული ნიმუში, ეს არის ქრისტე პანტოკრატორი (παντοκράτωρ)... ციური მოტივები როგორიცაა: ცალკე ვარსკვლავები, ვარსკვლავთა ჯგუფები და ვარსკვლავთა რთული ველები უკვე იყო წარმოდგენილი ადრე ქრისტიანულ იკონოგრაფიაში, მაგრამ პანტოკრატორის ზოდიაქოსთან ერთად გამოსახვა ბიზანტიის გვიან საუკუნეებს უკავშირდება“.[4] მკვლევრის შენიშვნით, „ამ მოტივის სათავე იუპიტერის, მითრას და Sol Invictus-ის რომაული იკონოგრაფიაა, რომელთა ფიგურებიც გარშემორტყმულია ზოდიაქოს ნიშნებით, რაც ამ ღვთაებების კოსმოკრატორის („სამყაროს მმართველის“) სტატუსზე მიუთითებს“.[5] ამის სახვითი ნიმუშია ასტიპალეის კუნძულის IV ან V საუკუნის მოზაიკა, სადაც ცენტრალური ფიგურა, შესაძლოა, ჰელიოსი ან Sol Invictus ზოდიაქოს ბორბლითა და ოთხი სეზონის ანთროპომორფული გამოსახულებებითაა შემოსაზღვრული.[6]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ იგივე რომაული გამოსახულება ასევე გვხვდება რამდენიმე გვიანანტიკურ სინაგოგაში, რამაც, სავარაუდოდ, გზა გაუხსნა მის ქრისტიანულ სამყაროში დამკვიდრებას, როგორც დასავლეთში, შემდეგ მის აღმოსავლეთში.

იესოს ფიგურის ცენტრში განთავსებით, ნაცვლად რომაული ღვთაებისა, ზოდიაქოთი შემოსაზღვრული ბიზანტიური ქრისტე პანტოკრატორი წარმოადგენს ამ უძველესი და გვიანანტიკური წარმოდგენების ქრისტიანულ იტერაციას. დორუ კოსტაკეს მითითებით, იესო არის ვარსკვლავებისა და მთლიანად კოსმოსის შემოქმედი და არა მხოლოდ, კაცობრიობის მხსნელი. ეს კულტურული ტრანსფორმაციის პროცესი გარკვეულწილად გასაკვირია, იმის გათვალისწინებით, თუ რა შეშფოთება ჰქონდათ ადრეული ხანის ქრისტიანებს

2 ყველა ეს მასალა ერთადაა თავმოყრილი ერთ-ერთ უკანასკნელ გამოკვლევაში. იხ.: D. Costache, Astral, 2024, გვ. 321-351.

3 ამ ბოლო ხანს გამოიცა საყურადღებო ნაშრომი, სადაც ერთიანობაშია წარმოდგენილი ასტრონომია-ასტროლოგია დაწყებული ქრისტიანობამდელი ხომლის მთის ქვაბულის პიქტოგრამებიდან XVIII საუკუნის დიდი ქართველი მოღვაწეების სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI-ის ასტრონომიის სფეროში ღრმა დაკვირვებების ჩათვლით. რაც მიანიშნებს, რომ ასტრონომია მეცნიერების დარგია, მსგავსად ყველა სხვა დარგისა და არაა მკითხაობა. იხ.: ჯუღელი, ასტრონომია-ასტროლოგია... გვ. 201-217.

4 COSTACHE, Astral, p. 322.

5 იქვე, გვ. 323.

6 იქვე, ტაბ. 1.

და მათ ბიზანტიელ შთამომავლებს - ასტროლოგიისა და სხვა ოკულტური მეცნიერებების მიმართ.[7]

მეცნიერი აღნიშნავს, რომ ათწლეულების განმავლობაში, ბიზანტიური „ნატურალისტური ფილოსოფიისა“ („natural philosophy”) და ტექნოლოგიური ინოვაციების შესწავლა, მათ შორის ცის შესწავლა ჩამორჩებოდა კვლევის სხვა შესაფერის სფეროებს. და აქვე დასძენს, რომ ბიზანტიური მეცნიერების როლი ასტრალური და ზოდიაქოს იკონოგრაფიის განვითარებაში, კიდევ უფრო ნაკლებადაა შესწავლილი, ან თუ საერთოდაც არის“.[8]

მეტად საგულისხმოა, რომ მკვლევარმა სტავროს ლაზარისმა შეისწავლა „ფიზიოლოგის“- ბუნებისმეტყველების პირველი ქრისტიანული წიგნის - ცამეტი დასურათებული ხელნაწერი და აღმოაჩინა, რომ თანმხლები გამოსახულებების უმეტესობა ასახავს ბიზანტიურ „ნატურალისტურ ფილოსოფიას“ და არა უძველეს ცოდნას.[9] იგივე ეხება ასტრონომიულ დიაგრამებს, რომლებიც შედის კლეომედეს „ცის“ XIV საუკუნის ბიზანტიურ ხელნაწერში, იგი შეისწავლა დივნა მანოლოვამ.[10] როგორც მკვლევარი დორუ კოსტაკე მიუთითებს: ბიზანტიურ ხელნაწერებში გადაწერილი უძველესი სამეცნიერო ტრაქტატების მკითხველები იღებენ თავად ბიზანტიური მეცნიერების ხედვას. და აქვე განმარტავს, რომ ბიზანტიური სამეცნიერო ხელნაწერების ილუსტრაციები წარმოადგენდა საეკლესიო იკონოგრაფიის შთაგონების მდიდარ წყაროს, რაც განსაკუთრებით ეხება ზოდიაქოს გამოსახულებებს.[11] მკვლევარი საკმაოდ საინტერესოდ მსჯელობს: ასტრონომიისა და ასტროლოგიის პროგრესმა, მათ შორის სამეცნიერო ტრაქტატებთან თანმხლებმა ტექნიკურმა ილუსტრაციებმა, გზა გაუხსნეს საეკლესიო იკონოგრაფიაში ციური მოტივების განვითარებას, მაშინ როდესაც ეს მოტივები ძირითადად თეოლოგიურ და არასამეცნიერო მნიშვნელობებს გადმოსცემდა. ცნობილია, რომ ბიზანტიელი სასულიერო წრეები, თეოლოგები ადრეულ პერიოდში ეწინააღმდეგებოდნენ ასტროლოგიას, განსაკუთრებით ზოდიაქოს პოპულარული გამოყენების გამო, ჰოროსკოპებისა და მკითხაობისთვის. ბევრმა ბიზანტიელმა ზოდიაქოში დაინახა დემონური გავლენის კარიბჭის გახსნა. როგორც მკვლევარი შენიშნავს, გასაკვირი არ არის, რომ პირველი კონსტანტინოპოლური ტაძრის ბერებმა, რომელიც ზოდიაქოს მოზაიკით იყო მორთული პანტოკრატორის მონასტერში, XII საუკუნეში, დაგმეს ყველა ასტროლოგი და ასტროლოგიის მიმდევარი. ანათემა კვლავაც აქტუალური იყო.[12]

ქრისტიანი თეოლოგები თანამიმდევრულად უწყობდნენ ხელს ოპტიმისტურ კოსმოლოგიას, რომელიც დაფუძნებული იყო წმიდა წერილის დოქტრინაზე შესაქმის შესახებ, როგორც „კარგი“ და ღმრთეებრივად მორგებული (დაბადება 1:1 – 2:4; ფს.148-150; კოლასელთა 1:15-18)[13] წამყვანი თეოლოგები ითვალისწინებდნენ მონაცემებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებიდან. მკვლევართა შორის ვრცელი დისკუსი გაიმართა, ყველა საკითხს ფართოდ ვერ შევეხები, დავურთავ ყველაზე მთავარს, ტიმ ჰეგედუსმა აჩვენა, რომ „შობის ვარსკვლავის“ ნარატივმა მათეს სახარებაში, ხელი შეუწყო ასტროლოგიის მიღებას.[14] ფაქტია, რომ იგნატიუს ანტიოქიელმა ვარსკვლავი ქრისტესთან გააიგივა ან, სულ მცირე, იგი ქრისტეს კოსმიური ძალის გამოვლინებად მიიჩნია. მკვლევარ კოსტაკეს რამდენიმე მაგალითი მოჰყავს ისეთი ადრეული ქრისტიანი ავტორები, როგორებიც არიან: იგნატიუსი, არისტიდესი, იუსტინე და დიოგნეტუსისადმი მიწერილი წერილის ანონიმური ავტორი. ბევრი მათგანი აღნიშნავდა კოსმოსურ წესრიგსა და ვარსკვლავური ცის სილამაზეს.[15] მოგვიანებით ისეთმა ავტორებმა, როგორებიც იყვნენ: ბასილი კესარიელი და გრიგოლ ნოსელი, მიიღეს პტოლომეოსის კოსმოგრაფია და გაოცება გამოთქვეს ასტრონომების ძიებებით, აღმოჩენებითა და თეორიებით, მათ შორის ზოდიაქოს გამოყენების ოსტატობით. მოგვიანებით, იოანე დამასკელმა

7 COSTACHE, Astral, გვ. 323.
8 იქვე, გვ. 324.
9 LAZARIS, Le Physiologus, pp. 25, 89, 93-94, 293-295, 336-339, 342.
10 MANOLOVA, Space, 2022, pp. 149-165 (and figs 6.3-5).
11 COSTACHE, Astral, 2024, p. 326.
12 Ibid.
13 BLOWERS, Doctrine, 2008, pp. 906- 931.
14 HEGEDUS, Early, 2007, pp. 201-222.
15 COSTACHE, Astral, 2024, p. 328.

ღიად მოახდინა ზოდიაქოს ინტეგრირება წამყვან თეოლოგიურ კოსმოლოგიაში.[16] ბევრი სხვა ავტორი კოსმოსს თეოლოგიის ბუნებრივ ფონად მოიხსენიებდა, ზემოთ ცა და მისი მოსახლეობა კი, ქრისტიანული ყოვლისმომცველი მსოფლმხედველობის განუყოფელი ნაწილი იყო.

ბიზანტიაში უკვე ისმება ვარსკვლავებით მოჭედილი ცის შესწავლის საკითხი. თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაშიც არა ერთი მეცნიერი გამოჩნდა, რომელთაც დაიწყეს ბიზანტიური მეცნიერებების, ცოდნის კვლევა, ერთ-ერთი მათგანია ანა-ლორენს კაუდანო, რომელიც აღნიშნავს, რომ „ბიზანტიელი ასტრონომები ზოგადად სხვა სფეროებშიც ერკვეოდნენ; ასტრონომია იშვიათად იყო მათი ერთადერთი საქმიანობა“. მათი ინტერესები ენციკლოპედიური იყო. მიუხედავად ამისა, მათ „გაიგეს და გადაიტანეს [ცის ცოდნა] მათემატიკური თვალსაზრისით, გეომეტრიული მოდელებისა და არითმეტიკული პროცედურების საშუალებით“, დატოვეს რა ცის ბუნება ფილოსოფოსების განსახილველად.[17]

ბიზანტიელები იყვნენ დიდებული მათემატიკოსები და ინოვატორები, რომლებმაც წინ წაწიეს ცოდნის საზღვრები. სწორედ, ეს პროგრესი, რელიგიური ტრადიციის კვლევისადმი მჭარდაჭერა – თეოლოგიური ტრადიციით, მიიტანეს ბიზანტიელმა ლტოლვილებმა – XIV საუკუნიდან მოყოლებული – დასავლეთში, რითაც ხელი შეუწყვეს თანამედროვე მეცნიერების დაბადებას.[18]

ბიზანტიელები საკუთარ თავს ღვთის შექმნილ სამყაროში მცხოვრებ ადამიანებად მიიჩნვდნენ. გონების ეს კოსმოსური მდგომარეობა აშკარაა მათი მსოფლმხედველობის სხვადასხვა გამოხატულებაში – ასტრონომიული და ასტროლოგიური ტრაქტატებიდან დაწყებული, თეოლოგიური და ეგზეგეტიკური ნაშრომებით, ჰაგიოგრაფიით, ლიტურგიკული ტექსტებით, იკონოგრაფიით დასრულებული.[19] ბიზანტიის ასტრალური იკონოგრაფია სულ უფრო რთული გახდა და განაგრძო განვითარება პოსტ ბიზანტიურ ეპოქაში. იგი მოიცავს იზოლირებული ვარსკვლავებისა და სხვა ნაცნობი ელემენტების გამოსახულებებს, როგორიებცაა მზე და მთვარე, ზოგჯერ ძლიერ სტილიზებული; მთლიანი ზეციური სცენები, განსაკუთრებით ჭერზე გამოსახული; და სტრუქტურირებული წარმოდგენები, როგორიცაა ზოდიაქოს ციკლი, რომელიც უფრო რთული კომპოზიციების განუყოფელი ნაწილი ხდება.

ვარსკვლავებიან ფონზე ნაჩვენები ქრისტე პანტოკრატორი, ვითარცა კოსმოსური ბატონობის მაუწყებელი. ამის ნიმუშია, მისტრას წმიდა დემეტრეს ეკლესიის გუმბათის მოხატულობაში.[20]

ეს მხატვრობა თითქოს ერთგვარი წინასახეა იმ კომპოზიციებისა, პოსტბიზანტიურ ხანაში რომ გაჩნდებიან. ერთგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ყოველთვის ტაძრის ჭერში იკავებენ ადგილს: გუმბათში ან კამარაში, გამონაკლისად ჩაითვლება სვეტიცხოვლის სამხრეთ კედელზე განთავსებული ვრცელი, მონუმენტური სცენა. შუა საუკუნეთა სახისმეტყველებიდან ყურადღებას იპყრობს, ასეთი სიტყვათწყობა ***„ცათა მობაძავნი“***, „აღმართეს ეკლესიანი ცათა მობაძავნი“, ასეა მოწოდებული ივირონში წმ. იოანესა და წმ. ექვთიმეს მშენებლობანი გიორგი ათონელის მიერ,[21] აღნიშნავდა რევაზ სირაძე. ანუ აღნიშნულ მოტივს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა და რეალურად ზეციურ სამყაროს გააზრებას გვთავაზობდნენ იკონოგრაფიული მოტივების დამნერგავნი. ასევე საყურადღებოა პოლიევქტოს კარბელაშვილის ფონდში დაცული საარქივო მასალები სვეტიცხოველზე, რომლებიც დღემდე გამოუქვეყნებელი იყო. მას გადმოუტანია გონიოიანი ხელის გამოსახულება წარწერით, არსუკისძის მოხსენიებით და ფანქარში შესრულებული ქრისტეს ხატისებრი გამოსახულებაა.[22] 32-ე ფურცელზე ვკითხულობთ: „მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ კედელზედ არის მხედრული წარწერა 1685 წ. „ქ. მეფობასა გიორგისასა ქ. ჩ'ნ ქართლის კათალიკოზმან ამილახორის იოთამის ძემან პატრონმან ნიკოლაოზ განგიახლე მეორედ კედელი ესე შენ ***<u>ცათა მბაძავსა</u>*** წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა და სვეტსა ცხოველსა ცოდვათა ჩვენთა საოხად, რათა მცველ-მფარველ მექმნე

16 COSTACHE, Astral, 2024, გვ. 329.
17 CAUDANO, Astronomy, 2020, pp. 202-230.
18 COSTACHE, Astral, 2024, p. 332.
19 იქვე, გვ. 333.
20 იხ. მისტრის წმიდა დემეტრეს ეკლესიის გუმბათის მოხატულობა.
21 სირაძე, ქართული, 1987, გვ. 169.
22 სეა, ფონდი 1461, საქმე 48, ფ. 18. პოლიევექტოს კარბელაშვილი, სვეტიცხოველი

დღესა მას განკითხვისასა. ქვს.ტოგ.“.[23] კათოლიკოს ნიკოლოზ ამილახვრის მიერ სვეტიცხოველში ჩატარებულ სამუშაოებზე მოგვითხრობს ასევე 1687 წლის სიგელი N216, სადაც შემდეგს ვკითხულობთ: „[...]ძველითგან: დაფუძნებული: კედელი: სუეტის-ცხოვლის: ტაძრისა: მჴარსა: სამჴრეთისას: ახლად: აღვაშენეთ.“.[24] ამრიგად, მოტანილი აქამდე გამოუქვეყნებელი წყაროებით ცხადი ხდება, რომ კათოლიკოს ნიკოლოზ ამილახვარს სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთი კედელი განუახლებია, თანაც მეორედ და ასევე ყურადღებას იპყრობს მისი, ასე ვთქვათ, მეტაფორა „ცათა მბაძავი კათოლიკე ეკლესია“, ანუ როგორც გიორგი მთაწმინდელთან შეგვხვდა „ეკლესიანი - ცათა მობაძავნიო“. 864 წლის სინური მრავალთავი შეიცავს ათანასე ალექსანდრიელის თხრობას „შობისათვის“, სადაც გვხვდება ანალოგიური სიტყვათწყობა: „დღეს ბეთლემი ***ზეცისა მობაძავ*** იქმნა, ვარსკვლავთა წილ ანგელოზნი მაქებელად ჰქონან, მზისა წილ მზჱ იგი სიმართლისაჲ“.[25] ასევე რევაზ სირაძეს მოტანილი აქვს ციტატა ივირონის დაარსების ამბებიდან, იგი ასეა შესხმული: „ლავრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა გაშუენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასუენებლად სულთა მრავალთა, რომელსაც შინა აღჰმართეს ეკლესიანი ცათა მობაძავნი და აღავსნენ იგინი წიგნთა მიერ ღმრთივ-სულიერთა და განაბრწყინვეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა“.[26] „ცათა მობაძავნი“ სახისმეტყველურადაა გააზრებული და სამყაროს კოსმოლოგიურ სახე-სურათს გვთავაზობს. რევაზ სირაძის მიხედვით: „ივირონელები თავიანთი ღვაწლით მიისწრაფოდნენ სიწმინდის ცათაკენ (ანუ 7 ცისაკენ)“.[27] თუ მოტანილ მასალებს გავიაზრებთ, უნდა ვთქვათ, რომ კათოლიკოს ნიკოლოზ ამილახვარს ორჯერ განუახლებია სვეტიცხოვლის სამხრეთი კედელი „მჴარსა: სამჴრეთისას“: სამხრეთ მკლავს უნდა ნიშნავდეს.[28] მხატვრულად გამოთქმულ სიტყვათწყობა „ცათა მბაძავ“-ში შესაძლოა, ვიგულისხმოთ ის ცნება, რომელშიც აგრეთვე უნდა მოიაზრებოდეს სამხრეთ კედელზე არსებული მასშტაბური კომპოზიცია 148-150-ე ფსალმუნებისა, რომლის ცენტრში ფართო წრეში ოთხი აპოკალიფსისური არსებით შემორტყმულია ღრუბლებზე აღსაყდრებული მაცხოვარი, ვითარცა მეორედ მოსვლის ჟამს, მეუფე და სამყაროს განმსჯელი. იგი, თავის მხრივ, შეიცავს ორ წრეს ანგელოზთა დასისა და ზოდიაქოს 12 ნიშნის გამოსახულებებით. შესაძლოა, XVII საუკუნემდე იყო აღნიშნული კომპოზიცია ამ კედელზე და კათოლიკოსმა ნიკოლოზმა განაახლა, მაგრამ რა კორექტივები შეიტანა, რას გულისხმობს იგი „განახლებაში“ და „აღშენებაში“ დღეს შეუძლებელია მისი დადგენა და მასზე მტკიცებით საუბარი. თუმცა ვთვლი, რომ მთლიანი კედლის კომპოზიცია უნდა იქნეს კომპლექსურად შესწავლილი და შემდეგ შეიძლება ვარაუდებზე მსჯელობა, ახლა მიზანშეუწონლად მეჩვენება. საკითხს მომდევნო კვლევაში დავუბრუნდები.

აქვე შევნიშნავ, რომ კომპოზიცია, რომელიც სვეტიცხოვლის ტაძარში საკურთხეველთან ახლოსაა განთავსებული, დიონისე ფურნეაგრაფიოტის მიხედვით, ნარტექსთან, შესასვლელთანაა დაკავშირებული.[29] ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სვეტიცხოვლის კომპოზიცია ყოველმხრივ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს, შევეცდები ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშები იკონოგრაფიული მოტივების გააზრებით წარმოვადგინო.

როგორც აღვნიშნე, ეგრეთ წოდებული „კოსმოსური ბორბალი“, როგორც დორუ კოსტაკე უწოდებს, მოგვიანებით ლესნოვოს ეკლესიაში (ჩრდილოეთ მაკედონია, XIV საუკუნე) ჩნდება[30] იგი ნარტექსშია განთავსებული. ყველა ამ კომპოზიციაში ცენტრში წარმოდგენილია ქრისტე, ვითარცა შემოქმედი სამყაროსი. მზე, მთვარე და ზოდიაქოს

23 სეა, ფონდი 1461, საქმე 48, ფ. 32. პოლიევექტოს კარბელაშვილი, სვეტიცხოველი

24 კაკაბაძე, ისტორიული, 1913, გვ. 65. ნიკოლოზ კათოლიკოსის ღვაწლზე საკმაოდ ბევრი მასალა შეაგროვა და გამოაქვეყნა ქალბატონმა ფლერ დევდარიანმა, ამიტომ სხვა ცნობები აქ არ მომაქვს. იხ.: Ф. Девдариани, Миниатюры, 1990, с. 10-20.

25 სინური მრავალთავი, გვ. 31.

26 რ. სირაძე, ქართული, გვ. 170.

27 იქვე, გვ. 169.

28 „სამჴრო“-ს მარი ბროსე თარგმნის, როგორც საყრდენ კედელს, Brosset, Reports, 1851, III, 6, p. 72.

29 Дионисий Фурноаграфиот, Ерминия, 1868, т. I, ч, III.

30 COSTACHE, Astral, 2024, p. 342.

ნიშნები აშკარად მიმართულია ქრისტესკენ, ისევე როგორც ანგელოზები. ეს არის პროგრესი ზოდიაქოს, ქრისტიანული თვალსაზრისით, საღმრთო გარემოში წარმოდგენისა.[31] ლესნოვოში ქრისტეს ირგვლივაა შემოკრებილი ანგელოზთა დასი წრიულად, ხოლო ზოდიაქოს ნიშნები ამ წრის გარეთაა. თითქოს, დაკავშირებულნი არ არიან ერთმანეთთან და ქრისტე ანგელოზებით შემოხვეული, ცალკე აღიქმებიან, ზოდიაქოს ნიშნები კი, ცალკე.[32] როგორც ივანა ლემკოოლი შენიშნავს, ქრისტე პანტოკრატორი გარშემორტყმული ანგელოზთა დასით, ზოდიაქოს ნიშნებითა და 148-ე ფსალმუნის სტროფებით არც ლესნოვოს სინქრონულ პერიოდში და არც ადრინდელ ხანაში არ გვხვდება, თუმცა, მოგვიანებით ფართოდ ვრცელდება. მაგალითად, XVII საუკუნის დასაწყისის კუჩევისტის ხატზე, ან პოლოშკოს წმიდა გიორგის ეკლესიის ნარტექსის ფრესკაზე, ასევე საბერძნეთის პოსტბიზანტიური ხანის ბევრ ეკლესიაში, ათონის მთის დიდი ლავრის მონასტრის კოკუზელისას ეკლესიაში და სხვა.[33]

პრობოტას (რუმინეთი, წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, XVI საუკუნე) კომპოზიცია კი, შემდეგნაირადაა გადაწყვეტილი: წრიულ მოჩარჩოებაში წარმოდგენილია ქრისტე „ძველი დღეთას“ გამოსახულება, ანუ აპოკალიფსური და ესქატოლოგიური მოტივი და არა პანტოკრატორი, როგორც ეს ლესნოვოში შეგვხვდა, ანგელოზებს გაუშლიათ ერთობ „ცის კამარა“ (Carpet of Firmament) როგორც ამას მკვლევარი ტერეზა სინიგალია უწოდებს. მყისიერად, შეხედვისთანავე ჯვრისებრი არე მიიღება, ერთგვარი ხალიჩა, რომელიც ანგელოზებს გაუშლიათ, მონაცრისფროა და მის ფონზეა წარმოდგენილი ექვ-სექვსი ნიშანი ზოდიაქოსი, ოთხ-ოთხი ანგელოზი სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აღებენ სარკმელს ქრისტესთვის, „ძველი დღეთასათვის“, რათა გამოჩნდეს სრულად ცეცხლოვანი დიდებით სავსე. ანგელოზები, როგორც ჩანს, ასრულებენ სულიერი ბუფერული ზონის როლს ქრისტესა და მატერიალურ სამყაროს შორის, რომელიც წარმოდგენილია ზოდიაქოს ნიშნებით.[34] როგორც ჩანს, პრობოტაში ქრისტე პანტოკრატორის ჩანაცვლება ქრისტე „ძველი დღეთათი“, მისი „მეორედ მოსვლის“ თემასთან კავშირშია და არ აბუნდოვანებს კოსმოსურ პარამეტრს.[35]

ლესნოვოში დამკვიდრებული სცენა - ქრისტე პანტოკრატორი, მის ირგვლივ წრიულად გარშემორტყმული ოცდაცამეტი ანგელოზით და ასევე ზოდიაქოს ნიშნებით, 148-150-ე ფსალმუნებით, ასევე გვხვდება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, რომელსაც საქართველოში უშუალო პარალელი არ ეძებნება, ხოლო პოსტბიზანტიურ ნიმუშებში საკითხის განვითარების მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს. ქრისტეს ღმრთეებრივი საყდრის ირგვლივ შემოკრებილია ათი ანგელოზი და სამი: სერაფიმ ქერუბიმი და ცეცხლის თვალნი. ცენტრში გამოსახულ ანგელოზზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ის მაცხოვრის იკონოგრაფიული სახე - „დიდისა ზრახვის ანგელოზზე“ უნდა იყოს მინიშნება.[36] ამ კომპოზიციაში წარმოდგენილია სამი კოსმოსური რეგიონი - ზეციური, მიწიერი და ზღვის, ანუ ოკეანური - მათი შესაბამისი მკვიდრებით, როგორც რეალურად არსებულით, ისე წარმოსახვითი, ფანტასტიკური. ზოდიაქოს გამოსახულებების გარეთა წრე ნაცრისფერი გრეხილი მოტივითაა შემოფარგლული და ამით ემიჯნება მიწისა და წყლის სტიქიებს, ეს ნაცრისფერი წრე დაბადების 1:6-8-ის წმიდა წერილის „მყარს“ უნდა წარმოადგენდეს, აღნიშნავს დორუ კოსტაკე[37] („მყარს ღმერთმა უწოდა ცა“ - დაბადება, 1:8).

ვარსკვლავური ცის ანარეკლი, რაც სვეტიცხოველში გვხვდება, მჟღავნდება აგრეთვე საბერძნეთში მანის ორ ეკლესიაში, დეკულუს მონასტერში (XVI საუკუნე) და სოფელ კასტანიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში (XVI საუკუნე), ასახულია ქრისტე პანტოკრატორის გამოსახულება, ვითარცა ხილული და უხილავი სამყაროს ცენტრი, რაც თავისთავში მოიცავს ზოდიაქოსა და ანგელოზთა

31 Ibid, p. 342.
32 Ibid.
33 LEMCOOI, p. 481.
34 იქვე.
35 იქვე.
36 ჩიხლაძე, სვეტიცხოვლის, 2010, გვ. 246. იმდენად ვრცელია კომპოზიცია და ფართოდ საკვლევი, მას სკრუპულოზური ჩაღრმავება სჭირდება, ამიტომ ამ საკითხის აქ ვერ ვიკვლევ, ცალკე მივუძღვნი ნაშრომს.
37 COSTACHE, Astral, 2024, p. 343.

გამოსახულებებს. მკაცრადაა დაცული კლასიკური წესრიგი, როგორც სვეტიცხოველში, აქაც მკაფიოდაა გამოკვეთილი ღია, სადაფისფერ ფონზე თორმეტი ნიშანი ზოდიაქოსი და თითოეულს ახლავს მიწერილი მათი სახელები. აქ, ცხრა ანგელოზია აღბეჭდილი, ვითარცა, „ცათა ცხრა იერარქია“. ანგელოზები ანთროპომორფულია და ზოდიაქოს ნიშნებზე მცირე ზომისანი არიან, თითოეულ მათგანს ხელში კვერთხი უკავია, ეს კვერთხები, თავის მხრივ, გვირგვინდება ჯვრებითა და ორბებით, სადაც ჩაქსოვილია ქრისტეგრამა, რის შედეგადაც მიიღება ექვსხივიანი კოსმოსური ბორბალი. ანგელოზთა უკან ფონი ორ ნაწილიანია, ქვემოთ მუქი მწვანე, ხოლო ზემოთ ლურჯი. სვეტიცხოველში ერთიანად მუქი ლურჯია ფონი ანგელოზებთან და ამით თითქოს, მისტიკაა გაძლიერებული. როგორც მკვლევარი დორუ კოსტაკე მიუთითებს დეკულუში 148-ე და 150-ე ფსალმუნებიდანაა დართული სტროფები და პარალელის გავლებაა შესაძლებელი ლესნოვოს ფრესკასთან.[38]

კომპოზიციის ანალოგიურ გადაწყვეტას ვხედავთ მანის კიდევ ერთ ეკლესიაში, სოფელ კასტანიაში ქრისტეს ირგვლივ ცხრა ანგელოზია, მანდორლის მსგავს წრიულ ნათებაში სხივები უფრო მუქი, რუხი ფერით გამოირჩევა, მახარებელთა სიმბოლოებიც არაა. გარეთა წრეზე მზისა და მთვარის და ზოდიაქოს თორმეტი ნიშნის გამოსახულებებია ფართო სადაფისფერ ფონზე, სულ ბოლო რუხი ნაცრისფრით დატანილია წრეზე, ისევე როგორც იყო სვეტიცხოველსა და დეკულუს ეკლესიებში.

ამდენად, სვეტიცხოველსა და მანის ორ ეკლესიაში კომპოზიციები ზოდიაქოს ასახავს ბორბლად, რომელიც ჩანდა ზეირეკ ჯამის (პანტოკრატორის ეკლესია, კონსტანტინოპოლი, XII საუკუნე) მოზაიკაზე. პანტოკრატორის დიდება ვლინდება სამყაროს გონივრულ წესრიგში, ხილულსა და უხილავში. დორუ კოსტაკე აღნიშნავს, რომ დეკულუსა და სვეტიცხოველში უშუალო მსგავსებაა და გონივრული იქნება, ვივარაუდოთ, რომ ისინი ეყრდნობიან ადრინდელ იკონოგრაფიულ ნიმუშს, სადაც ზეირექ ჯამის ზოდიაქოს წრიული და ტრადიციული პანტოკრატორის ფიგურა, რომელსაც გარს აკრავს ანგელოზები, ლესნოვოდან და მრავალი სხვა ადგილიდან, გაერთიანებულია.[39] ასევე საბერძნეთში, პლაცის (დაახლოებით XII საუკუნე) წმიდა იოანეს ეკლესიის მოხატულობაშიც გვხვდება მაცხოვრის გარშემო ოთხი მახარებელი, მათ გასწვრივ წრეში კი - ზოდიაქოს ნიშნები.[40]

როგორც ვნახეთ, დიდია მსგავსება ჩამოთვლილ ნიმუშებს შორის, სვეტიცხოვლის კომპოზიცია საკითხის გენეზისის კვლევისას მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, შესაძლოა, არსებობდეს კიდევ სხვა ნიმუშებიც მსგავსი თემატიკით, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში მეტ სიცხადეს შეიტანს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ზოდიაქოთა გამოსახვა ქართული ხელოვნებისთვის არ იყო უცხო თემა, გვხვდებოდა როგორც ქართულ ხელნაწერთა მინიატიურებში(A-65, 1188 წელი; ქართულ-ბერძნული კრებული, XV-XVI საუკუნეები, დაცულია რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკაში, разнояз. O. I. 58 და აგრეთვე 1746 წლის კრებული A-1454, ეს უკანასკნელი ხელნაწერი ზემო ჭალელი აბაშიძიანთა საკუთრება ყოფილა, ასევე მონუმენტურ მხატვრობაშიც, რომლის ნიმუში ქაშვეთის მოხატულობაშიც ყოფილა, რასაც ქვემოთ მივუბრუნდები. ციურ სხეულებზე დაკვირვების და ტაძარზე ასახვის ერთ-ერთ შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ლიხნის ეკლესიის ასომთავრული ლაპიდარული წარწერა (1066 წელი), რომელიც მარი ბროსეს წაუკითხავს და თავის ცნობილ ნაშრომში გამოუქვეყნებია. იგი უკავშირდება ჰალეის კომეტის გამოჩენას ბაგრატ II-ის ზეობისას, აპრილის თვეში, ერთი კვირის განმავლობაში ბზობიდან აღდგომამდე, ანუ აღვსებამდე, ცაზე კომეტა გამოჩენილა. გამოთვლილია, რომ 1066 წელს აღდგომა 16 აპრილს იყო, ხოლო ბზობა 9 აპრილს, შესაბამისად კომეტა შეუნიშნავთ 9-16 აპრილს.[41] ადრექრისტიანული ხანის ბიჭვინთის სანათლავის მოზაიკებზე მსჯელობისას, ლეონიდე შერვაშიძე შენიშნავს ფართოდ გავრცელებულ თევზების გამოსახულებებზე. ისინი სანათლავის მოჩარჩოებაში დეკორატიულ ფრიზულ მორთულობაშია ჩართული. თევზების სიმბოლიკის შერჩევას უკავშირებს ანტიკური დეკორის მდიდარ მასალას და აღნიშნავს, რომ მხატვარი ყურადღებით აკვირდებოდა ცოცხალ ბუნებას, წყლის ფაუნას, ზღვის, მდინარის ღვთაებებს და მკვლევარს მოტანილი აქვს ჰენრი სტერნის

38 Ibid, p. 344.

39 Ibid.

40 ჯუღელი, ასტრონომია-ასტროლოგია, 2024, გვ. 212.

41 სილოგავა, ქართული, 1986, გვ. 5-6; ჯუღელი, ასტრონომია-ასტროლოგია, 2024, გვ. 203-204.

ნაშრომის ციტირება და ილუსტრაციის მითითება თევზზე, როგორც ზოდიაქოს ერთ-ერთ ნიშანზე.[42] რაც მიწიერი და კოსმიური სამყაროს ერთიანობაში გააზრებაზე უნდა მიუთითებდეს.

ასტროლოგიის გააზრებისა და ასახვის სურათს მონუმენტურ მხატვრობაში, გარდა სვეტიცხოვლისა, თბილისში ქაშვეთის წმიდა გიორგის სახელობის ძველი ტაძრის (აქ იდგა წმ. დავით გარეჯელთან დაკავშირებული ტაძარი, რომელიც XVIII საუკუნეში ამილახვრების აგებულმა აგურის ეკლესიამ შეცვალა) ფრესკებიც ინახავდა, რის შესახებაც კალისტრატე ცინცაძე გვაუწყებს.[43] მისი ვარაუდით, მოხატულობა უნდა შესრულებულიყო 1817-1818 წლებში, ან არა უგვიანეს 1829 წლისა, იგი აღნიშნავს, რომ მხატვრის ვინაობა უცნობია, თუმცა კარგად სცოდნია ასომთავრული, ხუცური და რუსული დამწერლობა, წარწერები ორენოვანი იყო. მხატვარს, რომლის ხელს ანჩისხატის მხატვრობასთანაც აკავშირებს, გუმბათში დაუხატავს მამაღმერთი (საბაოთი) სამკუთხა შარავანდით, ანგელოზთა გუნდით, წიაღში დახატული სულიწმიდა - ღმერთი, საბაოთის მარცხნივ მზე, მარჯვნივ მთვარე და ვარსკვლავები. გუმბათის ყელის 12 სარკმელს შორის კი, ზოდიაქოს ნიშნები, თვეები და მოციქულთა გამოსახულებები, მინიშნებულია მათი სახელებიც.[44] ვიქტორია ჯუღელი ქაშვეთის მოციქულთა ციურ ეტლებთან კავშირის პარალელს სულხან-საბა ორბელიანის სასულიერო შინაარსის ნაშრომში „სწავლანი“, კერძოდ, ქადაგებაში „სწავლა წმიდათა მოციქულთა დღესასწაულისა“ ხედავს. ასტროლოგიურ ნიშანთა დაკავშირება მოციქულებთან იოანეს სახარებიდან მომდინარედ წარმოაჩენს, როგორც იოანე მახარებელი ორგზის ბრძანებს: „თომა, რომელსა ერქუა მარჩბივ“ (ინ. 20:24; 21:2). ქაშვეთის მოხატულობაში მოციქულები ზოდიაქოებს, ვერძიდან თევზებამდე, შემდეგი მიმდევრობით უკავშირდებიან: ფილიპე, თომა, მათე, ბართლომე, იაკობი (ზებედესი), იოანე, პეტრე, პავლე, ანდრია, იაკობი (ძმა უფლისა), თადეოზი, სიმონი. ხოლო სულხან-საბასთან „სწავლანში“ სხვა თანამიმდევრობაა მოცემული.[45] მკვლევრის აზრით, დასახელებული ქართული ფრესკები განსხვავდება მსგავსი მოხატულობით გამშვენებულ საბერძნეთის მართლმადიდებლურ ტაძართა მოხატულობისგანაც, მათ შორის სოფელ მანის დეკულუს მონასტრის ეკლესიაში (XVI საუკუნე) და პლაცის (დაახლოებით XII საუკუნე) წმიდა იოანეს ეკლესიის მოხატულობისგან.[46]

ოშკის სამხრეთ ფასადის სარკმლის წარბზე გამოსახული კომპოზიცია ნადირობის სცენით ვახტანგ ჯობაძის კვლევის არეალში მოხვდა, თუმცა ცალკე არ გამხდარა მისი შესწავლის საგანი. ამ ბოლო წლებში გამოქვეყნდა ნატო გენგიურისა და ნინო გოდერძიშვილის გამოკვლევა ოშკის ნადირობის სცენაზე.[47] მშვილდმოზიდული ქვეითი მონადირე მშვილდოსნის ზოდიაქოსთანაა გაიგივებული და დაძებნილი აქვს პარალელები, როგორც ქართულ, ისე ეგვიპტურ, ისრაელის, ქრისტიანულ და ისლამის ხელოვნებაში, თან ერთვის უხვი საილუსტრაციო მასალაც.

ამდენად, წინამდებარე კვლევაში განვიხილე სვეტიცხოვლის ტაძარში შემორჩენილი ზოდიაქოს გამოსახულებები, ისინი ეულად ჩანან მთლიან, ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში, თუმცა, პარალელები სინქრონული პერიოდის სხვა მართლმადიდებლურ ქვეყანათა მოხატულობებში იმდენად ახლოა და მრავალია, მისი შესწავლა ბევრ საინტერესო პლასტს ავლენს. სვეტიცხოვლის ზოდიაქოს რკალის გამოსახულება წარმოგვიდგენს, ერთი მხრივ, ქართულ გარემოში ჩვენამდე მწირად, მაგრამ მაინც შემორჩენილ წარმოდგენებს ასტრონომია-ასტროლოგიის სფეროში და, მეორე მხრივ, იმ საერთო ჯაჭვში ზოდიაქოთა გამოსახულებებისა, რაც შუა საუკუნეთა ქრისტიანულმა მხატვრობამ შემოგვინახა (ჩრდილოეთ მაკედონია, რუმინეთი, საბერძნეთი და სხვა), რასაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს მიჩენილი და ერთიანობაში მისი გააზრება აქტუალურია იმდროინდელი პოსტბიზანტიური აზროვნების წარმოსაჩენად. რაც ჩემს მომავალ ნაშრომში უფრო საფუძვლიანად იქნება განხილული.

42 STERN, Recueil, 1957, ტაბ. XIII; Шервашидзе, Средневековая, 1980, გვ. 26, ტაბ. VIII-2,3; IX-3.

43 ცინცაძე, ქვაშვეთის, 1994, გვ. 23-24. აქ ადრევე მდგარა ეკლესია, XVIII საუკუნეში გაუფართოებიათ.

44 იქვე, გვ. 21, 23-24.

45 ჯუღელი, ასტრონომია-ასტროლოგია, 2024, გვ. 211-212.

46 იქვე.

47 გენგიური, გოდერძიშვილი, ნადირობის, 2020, გვ. 30-36.

გამოყენებული ლიტერატურა:

- გენგიური ნ., გოდერძიშვილი ნ., ნადირობის სცენა ოშკის ტაძრის რელიეფზე მნიშვნელობა და სიმბოლიკა, ძველი ხელოვნება დღეს, 10, 2020.
- კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, წგნ. IV, თბ., 1913.
- სილოგავა ვ., ქართული წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, ლიტერატურული საქართველო, 7 თებერვალი, თბ., 1986.
- სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თსუ, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბ., 1959.
- სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987.
- ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009.
- ჩიხლაძე ნ., სვეტიცხოვლის მოხატულობანი, კრ. სვეტიცხოველი, თბ., 2010.
- ცინცაძე კ., ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში, თბ., 1994.
- ჯუღელი ვ., ასტრონომია-ასტროლოგია, ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის ძირითადი მიმართულებები, IV-XV საუკუნეები, ნაკვეთი II, თბ., 2024.
- BLOWERS Paul M., Doctrine of Creation, in The Oxford Handbook of Early Christian Studies, ed. Ashbrook H. S. and Hunter D. G., Oxford, 2008.
- BROSSET Marie-Félicité, Reports sur un voyage archeologique dans la Georgie et dans l' Armenie, St. Peterbourg, III, 1851.
- CAUDANO Anne-Laurence, Astronomy and Astrology, in A Companion to Byzantine Science, Leined/Boston, 2020.
- COSTACHE Doru, Astral Iconography and the Byzantine Study of the Heavens, De Medio Aevo, 13(2), Madrid, 2024.
- HEGEDUS Tim, Early Christianity and Ancient Astrology, New York, 2007.
- LAZARIS Stavros, Le Physiologus grec, vol. 2: Donner à voir la nature, Micrologus Library 77/2 Firenze: Sismel Edizioni del Galluzzo, Florence, 2021.
- LEMCOOL Ivana, Astronomical Imagery in the Painting of the Lesnovo Narthexs: Iconographic Innovations in Serbian Medieval Art", In Eight Century of Authocephaly of Serbian Orthodox Church, two vols., 2: Belgrade, 2020, 477-493.
- MANOLOVA Divna, Space, Place, Diagram: Cleomedes and the Visual Program of Munich, Bayerische Staatsbibliothek, Cod.gr. 482, in The Diagram as Paradigm Cross-Cultural Approaches, ed. Jeffrey F. Hamburger et al., Washington, DC: Dumbarton Oaks Research Library and Collection, 2022.
- STERN Henri, Recueil general des mosaiques de la Gaule, t. I, Paris, 1957.
- Девдариани Ф., Миниатюры Анчисхатского Гулани, Тб., 1990.
- Дионисий Фурноаграфиот, Ерминия или наставление в живописном искусстве, Труды киевской духовной академии, 1868, т. I, ч, III.
- Л. Шервашидзе, Средневековая Монументальная Живопись в Абхазии, Тб., 1980.
- სეა, ფონდი 1461, საქმე 48, ფ.18. პოლიევქტოს კარბელაშვილი, სვეტიცხოველი, ფონდი 1461, საქმეები N48, 128, 143, პირადი არქივი, მოკლე ნარკვევი სვეტიცხოვლის ტაძრის შესახებ.
- ქრისტე პანტოკრატორი, მისტრის წმიდა დემეტრეს ეკლესია. https://tinyurl.com/jyzrr8z3 05/08/2026
- ზოდიაქოთა გამოსახულებანი, ლესნოვოს (ჩრდილოეთ მაკედონია). https://tinyurl.com/59fhc79r 05/08/2026

International Journal of Arts and Media Researches - #6 (16) 2026
https://doi.org/10.52340/ijaamr.2026.6.16.22

LATE BYZANTINE SCIENTIFIC ACHIEVEMENTS AND A FRAGMENT OF THE SOUTH WALL PAINTING OF SVETITSKHOVELI

Lali Osepashvili

Keywords: Georgian art, medieval art, Svetitskhoveli, zodiac signs, astral iconography

The paper explores the painting on the southern wall of the Svetitskhoveli Cathedral depicting Christ Pantokrator surrounded by the twelve zodiac signs. Interpreted as components of a broader composition based on Psalm-based imagery, this mural constitutes the only preserved example of zodiac imagery in Georgian monumental painting. It is discussed in the context of the iconography of celestial imagery of the Eastern Christian world (Macedonia, Romania, Greece, etc.), as well as within the artistic context of the post-Byzantine period. Particular attention is given to the stylistic and iconographic features of the zodiac circle in the Svetitskhoveli mural. From this perspective, the Svetitskhoveli mural represents an important source for the study of both Georgian and post-Byzantine art and highlights the need for further research into this iconographic tradition.

Svetitskhoveli Cathedral has witnessed nearly every major stage of Georgian history, and its present form accurately reflects both the country's past and the historical development of the cathedral itself. On its southern wall, a monumental composition has survived to this day, which scholars interpret as an illustration of Psalms 148-150, namely, " Let every thing that hath breath praise the Lord." At the center of the mural is a wide circular medallion depicting Christ enthroned and holding an open scroll in his left hand. The scroll bears the Greek inscription: "See, see, for I am your God."[1] The figure of Christ is enclosed within a yellowish rhombic frame, on whose four sides are represented the four apocalyptic creatures: the angel, the lion, the bull and the eagle. This central medallion is further surrounded by a wide blue circular band containing images of ten angels and the seraphim and cherubim. Beyond this appears another wide light-toned circle in which are depicted the symbols of the sun, the moon, the stars, and the twelve zodiac signs, bordered by a gray interlacing ornamental motif. The remaining areas of the wall are filled with scenes and inscriptions derived from the Psalms.

The painting dates back to the post-Byzantine period. Apart from a descriptive work, no specialized scholarly study has yet been devoted to it. Nevertheless, the composition has long attracted considerable interest and has given rise to various interpretations. The aim of the present study is to examine the composition of the southern wall of Svetitskhoveli, taking into account the scientific achievements and knowledge that, so to speak, have accumulated in the post-Byzantine period. Until recently, the monument was generally considered an isolated example, since no close parallels had been identified, which

1 These words are taken from the Bible, as noted by the scholar Th. Kaukhchishvili (Deuteronomy 32:39). Th. Kaukhchishvili, Sakartvelos [Georgia], 2009, p. 218.

